

შპს „ერიქსონ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძვლები.....	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	6
4. ძირითადი საშუალებები.....	7
5. მარაგები	8
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	8
7. ფული და ფულის ექვივალენტები.....	8
8. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები.....	9
9. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი.....	9
10. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	10
11. კურსთაშორის სხვაობით წარმოშობილი მოგება/ზარალი.....	10
12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	10
13. პირობითი ვალდებულებები.....	11
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	11
15. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	12

შპს „ერიქსონ საქართველო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	324,493	1,417,909
სულ გრძელვადიანი აქტივები		324,493	1,417,909
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	5	1,155,307	1,970,920
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	335,406	580,572
წინასწარ გაწეული ხარჯები		4,014	5,147
გადახდილი ავანსები		110,943	97,389
ფული და ფულის ექვივალენტები	7	4,081,524	1,958,316
სულ მიმდინარე აქტივები		5,687,194	4,612,344
სულ აქტივები		6,011,687	6,030,253
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		400,124	47,018
სულ კაპიტალი		402,124	49,018
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული შემოსავალი		1,672,627	2,527,127
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,672,627	2,527,127
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულება		350,557	29,969
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	8	-	2,171,019
დარიცხული ვალდებულებები და ხარჯები		305,460	105,267
მიღებული ავანსები		2,028,266	156,497
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		1,252,653	991,356
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,936,938	3,454,108
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		6,011,687	6,030,253

6-15 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ერიქსონ საქართველო“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან		10,037,611	10,767,906
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება		(7,532,983)	(7,951,960)
საერთო მოგება		2,504,628	2,815,946
თანამშრომლებზე გაცემული ანაზღაურება და სარგებელი	7	(1,773,748)	(1,802,559)
ცვეთა და ამორტიზაცია		(355)	(69,892)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(496,591)	(492,095)
საოპერაციო მოგება		233,934	451,399
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა		(48,783)	(71,539)
კურსთაშორის სხვაობით წარმოშობილი მოგება/(ზარალი), წმინდა	9	167,955	(78,135)
წმინდა მოგება		353,106	301,725
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მთლიანი სრული მოგება		353,106	301,725

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 26 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

მიხეილ სასენკოვ



6-15 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ერიქსონ საქართველო“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან		10,037,611	10,767,906
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება		(7,532,983)	(7,951,960)
საერთო მოგება		2,504,628	2,815,946
თანამშრომლებზე გაცემული ანაზღაურება და სარგებელი	7	(1,773,748)	(1,802,559)
ცვეთა და ამორტიზაცია		(355)	(69,892)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(496,591)	(492,095)
საოპერაციო მოგება		233,934	451,399
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა		(48,783)	(71,539)
კურსთაშორის სხვაობით წარმოშობილი მოგება/(ზარალი), წმინდა	9	167,955	(78,135)
წმინდა მოგება		353,106	301,725
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მთლიანი სრული მოგება		353,106	301,725

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 26 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

მიხეილ სასენკოვ

6-15 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ერიქსონ საქართველო“

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრისთვის	2,000	(220,197)	(218,197)
წინა პერიოდის მოგების კორექტირება	-	(34,510)	(34,510)
წლის მთლიანი სრული მოგება	-	301,725	301,725
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისთვის	2,000	47,018	49,018
წლის მთლიანი სრული მოგება	-	353,106	353,106
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2,000	400,124	402,124

6-15 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 1999 წელს. ის რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიერ, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ჭავჭავაძის გამზ., №74. საიდენტიფიკაციო ნომრით: 203864719.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სატელეკომუნიკაციო მომსახურება.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დირექტორი არის მიხეილ სასენკოვი.

კომპანიის დამფუძნებლები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მფლობელები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
კომპანია ტელეფონკატიბოლაგეტ ლ.მ. ერიქსონ, შვედეთი	100%	100%

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ჭავჭავაძის გამზ., №74

2. მომზადების საფუძვლები

მომზადების საფუძვლები

წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე არის კომპანიის სამუშაო ვალუტაც.

რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანია საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს

მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. დამატებითი ინფორმაცია ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ფინანსური აქტივიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურებას წარსული გამოცდილების საფუძველზე. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	კომპიუტერული ტექნიკა	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
31 დეკემბერი 2020	6,586,730	122,225	12,000	133,330	6,854,285
შემოსვლა	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	6,586,730	122,225	12,000	133,330	6,854,285
შემოსვლა	2,364	-	-	-	2,364
გასვლა	(1,095,425)	-	-	-	(1,095,425)
31 დეკემბერი 2022	5,493,669	122,225	12,000	133,330	5,761,224

დაგროვილი ცვეთა

31 დეკემბერი 2020	(4,016,203)	(119,125)	(12,000)	(133,330)	(4,280,658)
წლის ცვეთა	(1,152,618)	(3,100)	-	-	(1,155,718)
გასული აქტივების ცვეთა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	(5,168,821)	(122,225)	(12,000)	(133,330)	(5,436,376)
წლის ცვეთა	(355)	-	-	-	(355)
გასული აქტივების ცვეთა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	(5,169,176)	(122,225)	(12,000)	(133,330)	(5,436,731)

ნეტო საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი 2021	1,417,909	-	-	-	1,417,909
31 დეკემბერი 2022	324,493	-	-	-	324,493

შპს „ერიქსონ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

5. მარაგები

მარაგები 2021 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
დაუმთავრებელი წარმოება	1,155,307	1,970,920
სულ მარაგები	1,155,307	1,970,920

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2021 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	335,406	580,572
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	335,406	580,572

სავაჭრო მოთხოვნების ვადაგადაცილება შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2022	0-30 დღემდე	31-90 დღემდე	91-180 დღემდე	181 და მეტი	სულ მოთხოვნები
სავაჭრო მოთხოვნები	331,226	-	-	4,180	335,406
სულ	331,226	-	-	4,180	335,406

31 დეკემბერი 2021	0-30 დღემდე	31-90 დღემდე	91-180 დღემდე	181 და მეტი	სულ მოთხოვნები
სავაჭრო მოთხოვნები	573,252	-	-	7,320	580,572
სულ	573,252	-	-	7,320	580,572

7. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2021 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე ლარში	2,541,547	1,863,808
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე სხვა ვალუტაში	1,539,977	94,508
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	4,081,524	1,958,316

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

8. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები

მიღებული სესხები 2021 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მოკლევადიანი ნაწილი	-	2,171,019
სულ	-	2,171,019

კომპანიას აღებული ჰქონდა მოკლევადიანი სესხი დედა კომპანიისგან, ნომინირებული აშშ დოლარში, დაფარვის ვადა განსაზღვრული იყო 2022 წლის 8 დეკემბრამდე. ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯამური სესხის მოცულობა არის 2,500,000 აშშ დოლარი, თუმცა კომპანიამ მხოლოდ 1,950,000 აშშ დოლარის სესხი გამოიყენა, საიდანაც 1,250,000 აშშ დოლარი დაფარა 2020-2021 წლების განმავლობაში. მიღებულ სესხზე პროცენტის გაანგარიშება ხდება გასული დღეების რაოდენობის პროპორციულად, თუმცა იმ დაშვებით რომ კალენდარული წელი შედგება 360 დღისგან. სესხის საპროცენტო განაკვეთი იანგარიშება საპროცენტო პერიოდის დაწყებამდე ორი სამუშაო დღით ადრე, გამოყენებული საპროცენტო განაკვეთი დასტურდება მომზადებული დამადასტურებელი წერილის მეშვეობით.

2021 წლის 31 დეკემბრიდან და 2022 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში ფინანსური ვალდებულების ნაწილში განხორციელებული ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ნაშთი 1 იანვრისთვის	2,171,019	4,917,563
ფულადი მუხლები		
ძირის გადახდა	(1,963,540)	(2,744,063)
არაფულადი მუხლები		
გადაფასება	(158,696)	69,058
საპროცენტო ხარჯი, წარდგენილი მოგება ან ზარალში	(48,783)	(71,539)
ნაშთი 31 დეკემბრისთვის	-	2,171,019

9. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები და თანამშრომელთა სარგებელი 2021 და 2022 წლებისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2022	2021
ხელფასები	1,625,612	1,631,915
ბონუსები და სხვა სარგებელი	148,136	170,645
სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	1,773,748	1,802,560

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

10. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები 2021 და 2022 წლებისთვის შეიძლება წარმოდგენილ იყოს შემდეგნაირად:

	2022	2021
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურებების ხარჯები	(173,311)	(222,465)
იჯარის ხარჯები	(133,352)	(120,357)
ოფისის ხარჯები	(61,802)	(52,570)
კომუნიკაციის ხარჯები	(58,524)	(28,311)
სხვა საგადასახადო ხარჯები(მოგების გადასახადის გარდა)	(28,053)	(33,876)
ავტომანქანის მოვლის ხარჯები	(9,854)	(10,552)
კომუნალური ხარჯები	(8,951)	(9,928)
ბანკის ხარჯი	(4,207)	(5,898)
მივლინების ხარჯები	(2,645)	(3,045)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(700)	-
სხვა	(15,192)	(5,094)
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(496,591)	(492,096)

11. კურსთაშორის სხვაობით წარმოშობილი მოგება/ზარალი

კურსთაშორის სხვაობით წარმოშობილი ზარალი 2021 და 2022 წლისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2022	2021
რეალიზებული გაცვლითი კურსის სხვაობა	(175,078)	(81,385)
არარეალიზებული გაცვლითი კურსის სხვაობა	7,123	3,250
მოგება-ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	(167,955)	(78,135)

12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან არის, როდესაც:

- ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. კომპანიასა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები და ნაშთები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ოპერაციის ტიპი	საანგარიშგებო წლის მონაცემები	საანგარიშგებო წლის წინა წლის მონაცემები
A. მოთხოვნები მიწოდებითა და მომსახურებით:		
2. ერიქსონის ჯგუფის წევრ სხვა კომპანიაზე	37,320	130,101
B. ვალდებულებები მიწოდებითა და მომსახურებით:		
2. ერიქსონის ჯგუფის წევრ სხვა კომპანიაზე	609,099	454,756
მენეჯმენტში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა	1	1

13. პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები - 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

საგადასახადო კანონმდებლობა - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

15. ძირითად სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყენებულია ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის თუ დამატებით სხვა რამ არ არის მითითებული.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შეძენის მიმდინარე ფასს.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა.

ძირითადი საშუალებების ზოგიერთი ელემენტის ნაწილები შეიძლება საჭიროებდეს ჩანაცვლებას. აქტივის

ჩანაცვლების ღირებულება უნდა დაემატოს ძირითადი აქტივის საბალანსო ღირებულებას იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია რომ შემცვლელი ნაწილი დამატებით სამომავლო სარგებელს მოიტანს. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება.

ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწერას. ცვეთა ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფს ერიცხება წრფივად. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

კომპიუტერული ტექნიკა	3 - 10 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	4 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	5 წელი

აღჭურვილობა მომხმარებელთა საიტზე

ძირითადი საშუალებების ამ ჯგუფში ერთიანდება მოწყობილობები, რომელიც ეკუთვნის კომპანიას და რომელიც ქირავდება მომხმარებელზე ქირავნობის ხელშეკრულების ფარგლებში.

დაუმონტაჟებელი მოწყობილობები

ძირითადი საშუალებების ეს ჯგუფი აერთიანებს მშენებლობა/აწყობის პროცესში არსებულ აქტივებს, ქონებას და აღჭურვილობას, სანამ ასეთი ქონება გამოსაყენებლად არ იქნება მზად.

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა

საიჯარო ქონების გაუმჯობესება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიას სჭირდება ოფისის ან საწარმოო სივრცის მახასიათებლების კორექტირება სპეციფიკურ საჭიროებებზე. ეს ხარჯები აღირიცხება როგორც იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა და კაპიტალიზდება, როგორც იჯარის საკუთრების გაუმჯობესება.

15. ძირითად სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საიჯარო ქონების გაუმჯობესების ცვეთის ვადა არის უმცირესი აქტივის სასარგებლო მომსახურების. ვადის ხანგრძლივობასა და/ან იჯარის დარჩენილი ვადას შორის. საიჯარო ქონების გაუმჯობესების ამორტიზაციის პერიოდის განხილვა, ისევე როგორც ნებისმიერი აქტივის, კეთდება ყოველწლიურად.

ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველაწარმოებული დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების

ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები). რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება ფიფო მეთოდი.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადი ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საღარიბოში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულისა და ფულის ექვივალენტებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების ანარჩების გამოკლებით.

ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა მოთხოვნიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირების მეშვეობით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები არის საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მიღებული სერვისის ან შეძენილი საქონლის სანაცვლოდ მომწოდებლისთვის გადასახდელი თანხები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

15. ძირითად სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ახალი მოდელი შევიდა ძალაში. აღნიშნული ცვლილების მიზანი მოგების გადასახადის ადმინისტრირების გამარტივება და ბიზნესის ზრდის ხელშეწყობაა.

ახალ მოდელში მთავარ ცვლილებას ერთობლივი შემოსავლის დაბეგვრის გადავადებაა, გაუნაწილებელი მოგების დივიდენდის სახით გაცემამდე. აღნიშნული ცვლილება გაზრდის მოგების რეინვესტირების მოცულობას. მოგების გადასახადის განაკვეთი არ იცვლება და ძველი მოდელის მსგავსად 15% რჩება. დამატებით წლიურად დაბეგვრის ნაცვლად, გადასახადის დარიცხვა ყოველთვიურად მოხდება. მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი ტრანზაქციები/გადახდები: დივიდენდის გაცემა; სხვაობა კონტრაქტის ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის; ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან; საჩუქრები; წარმომადგენლობითი ხარჯები ლიმიტს ზემოთ. მოგების გადასახადის ახალი მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობა არ გვაქვს. შესაბამისად, არ წარმოიქმნება გადავადებული გადასახადი.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი,

რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

შემოსავალი

შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. შემოსავლების შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულების ოდენობით, ნებისმიერი ფასდაკლების, საბითუმო ფასდაკლების და დღგ-ს გამოკლებით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლების აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მომხმარებელს გადასცემს მფლობელობასთან და მართვასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებს და სარგებელს.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

33-ე განყოფილების მიხედვით კომპანია დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს:

ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- (iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე;

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

15. ძირითად სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მსს ფასს – 2015 წ. 316 © IFRS Foundation მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
- (ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
- (v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;
- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;
- (viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, საწარმომ უნდა შეაფასოს თავად ურთიერთობის შინაარსი და არა მარტო მისი იურიდიული ფორმა.

კონტროლის ან გავლენის არსებობამ შეიძლება გავლენა იქონიოს იმ გარიგების პირობებზე, რომელშიც ორივე მხარე იღებს მონაწილეობას. ამ ტიპის ურთიერთობების განმარტება და პირობები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების აღქმაში.

იმისათვის, რომ შემოწმდეს დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციების „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“ შესაბამისობა, პირველ რიგში აუცილებელია გამოსაცდელი მხარის შერჩევა. გამოსაცდელი მხარე არის კონტროლირებადი გარიგების მონაწილე, რომლის ფასები ან მოგება შემოწმდება „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპის“ სტანდარტის მიხედვით.

გამოსაცდელი მხარე, ძირითადად, არის ის მხარე, რომლის ფასები და მოგება შეიძლება დადასტურდეს ყველაზე საიმედო მონაცემებით და მოითხოვს ყველაზე მცირე და საიმედო კორექტირებას, და რომლისთვისაც შეიძლება დაიდენტიფიცირდეს არადაკავშირებული მხარის ყველაზე საიმედო შესადარისი მონაცემი. უმეტეს შემთხვევაში, გამოსაცდელი მხარე იქნება ნაკლებად კომპლექსური კონტროლირებადი გადამხდელი, რომელიც არ ფლობს ძვირფას არამატერიალურ ქონებას ან უნიკალურ აქტივებს, რომლებიც განასხვავებენ მას პოტენციურ შესადარის არადაკავშირებულ მხარისგან. აშკარაა, რომ ადგილობრივი კომპანიები გარიგების ყველაზე ნაკლებად რთული მხარეა და, სწორედ ეს კომპანიები იქნებიან გამოსაცდელი მხარეები ეკონომიკურ ანალიზში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.